24.07.2008: აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №21

24, ივლისი 2008 წ. ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. უნივერსიტეტის გამომცემლობაში სამეცნიერო ნაშრომის დაბეჭდვის წესის განხილვა და დამტკიცება;

2. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტის განხილვა.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე - საბჭოს თავმჯდომარე

2. მზია ბაქრაძე

3. შუქია აფრიდონიძე

4. ნათელა იმედაძე

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტი.

გ. თევზაძე: მივიღე ჯუანშერ ჩქარეულის შეტყობინება, რომელიც იუწყება, რომ იგი ეთანხმება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს შენიშვნებს, საბჭოზე დღეისათვის განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. რაც შეეხება განსახილველ საკითხს, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში სამეცნიერო ნაშრომის/მონოგრაფიის დაბეჭდვის წესის მე-3 პუნქტში წარმომადგენლობითმა საბჭომ შეიტანა ცვლილება. კერძოდ, წარმომადგენლობითი საბჭო თვლის, რომ მონოგრაფიის ავტორის მიერ წარმოდგენილი რეზიუმეს მოცულობა არ უნდა იყოს მთელი ნაშრომის 10%-ზე ნაკლები. ვფიქრობ, ექსპერტს გაუჭირდება რეზიუმეს 10%-დან შესაბამისი დასკვნის გაკეთება.

მ. ბაქრაძე: გააჩნია სტატიისa თუ მონოგრაფიის რეზიუმეზეა საუბარი. მონოგრაფიაზე სხვა მოთხოვნა უნდა იყოს, ვიდრე სტატიაზე. ჩემი აზრით, სწორი იქნება, თუ სტატიის შემთხვევაში რეზიუმეს სავალდებულო მოცულობად დავადგენთ 20%-ს ხოლო მონოგრაფიის შემთხვევაში - 10%-ს.

გ. თევზაძე: სტატია უფრო მოკლეა, ვიდრე მონოგრაფია და, შესაბამისად, დასკვნისათვის უფრო მეტი მოცულობის რეზიუმეს წარდგენაა საჭირო, განსხვავებით მონოგრაფიისაგან.

აკადემიური საბჭოს წევრებმა ერთხმად დაადგინეს, რომ "ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში სამეცნიერო ნაშრომის/მონოგრაფიის დაბეჭდვის წესის" მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"სამეცნიერო ნაშრომის/მონოგრაფიის ავტორი/ავტორები წარმოადგენენ ვრცელ რეზიუმეს (რომლის მოცულობაც არ უნდა იყოს სამეცნიერო ნაშრომის 20%-ზე ნაკლები, ხოლო მონოგრაფიის 10%-ზე ნაკლები) ინგლისურ ენაზე."

გ. თევზაძე: წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა, რომ "ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში სამეცნიერო ნაშრომის/მონოგრაფიის დაბეჭდვის წესს" უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

"გამომცემლობაში დაბეჭდილი სამეცნიერო ნაშრომის/მონოგრაფიის 10 ეგზემპლარი გადაეცემა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას."

აკადემიური საბჭოს წევრები ეთანხმებიან ზემოაღნიშნულ დამატებას.

აკადემიურმა საბჭომ იმსჯელა წესდების მე-10 მუხლში შესატან ცვლილებებთან, დაკავშირებით, რომელიც შეეხება პერსონალის ვალდებულებას, დაესწროს უნივერსიტეტის მიერ გამართულ ცერემონიებსა და პრეზენტაციებს, გაეცნო წარმომადგენლობითი საბჭოს შენიშვნებს და სრულად გაიზიარა ისინი.

2008 წლის 24 ივლისის სხდომაზე აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. "ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში სამეცნიერო ნაშრომის /მონოგრაფიის დაბეჭდვის წესი" ჩამოყალიბდეს ქვემოთ მოყვანილი რედაქციით და გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად:

"ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა ბეჭდავს სამეცნიერო ნაშრომს/მონოგრაფიას შემდეგი პროცედურების დაცვით:

სამეცნიერო ნაშრომი/მონოგრაფია გამომცემლობას გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის რეკომენდაციით.

სამეცნიერო ნაშრომი/მონოგრაფია უნდა აკმაყოფილებდეს გამომცემლობის მეირ შემუშავებულ სტანდარტებს.

სამეცნიერო ნაშრომის/მონოგრაფიის ავტორი(ავტორები) წარმოადგენს ვრცელ რეზიუმეს (რომლის მოცულობაც არ უნდა იყოს სამეცნიერო ნაშრომის 20%-ზე ნაკლები, ხოლო მონოგრაფიისა - 10%-ზე ნაკლები) ინგლისურ ენაზე.

რეზიუმე გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და იგზავნება სარეცენზიოდ.

მიღებული რეცენზიის საფუძველზე შემუშავებულ დასკვნას ნაშრომის დასაბეჭდად ვალიდურობის შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გადასცემს გამომცემლობას.

გამომცემლობაში დაბეჭდილი სამეცნიერო ნაშრომის/მონოგრაფიის 10 ეგზემპლარი გადაეცემა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას."

2. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებას დაემატოს 56/4 მუხლი ქვემოთ მოყვანილი ფორმულირებით და გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად:

"პერსონალის ვალდებულება, დაესწროს საუნივერსიტეტო ცერემონიებსა და პრეზენტაციებს

1. საუნივერსიტეტო ცერემონიებსა და პრეზენტაციებზე დასწრება სავალდებულოა:

ა) აკადემიური საბჭოს წევრებისათვის;

ბ) წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებისათვის;

გ) ფაკულტეტის დეკანებისას და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებისათვის;

დ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, მისი მოადგილეებისა და ხარისხის მართვის სამსახურის უფროსისათვის;

ე) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორისათვის.

2. საუნივერსიტეტო ცერემონიის ან პრეზენტაციის ჩატარება ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილ თანამდებობის პირებს ეცნობებათ უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ წინასწარ, სულ ცოტა ორი დღით ადრე, საღამოს ხუთ საათამდე, ელექტრონული ფოსტითა და სატელეფონო შეტყობინებით (ზარი და მოკლე ტექსტური შეტყობინება). ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი დადგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ დროულად მიეწოდათ ინფორმაცია ჩასატარებელი ღონისძიების შესახებ."

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებს, ცერემონიებსა და პრეზენტაციებზე დასწრების ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაეკისრებათ დისციპლინური პასუხისმგებლობა ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული წესით."

სხდომის თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

სხდომის მდივანი

შუქია აფრიდონიძე

დანართი:

1. სხდომაზე დასწრების ფურცელი